უმუშევრობის ეკონომიკური შედეგები

მანანა დიდმანიძე[1], ზურაბ ზაქარაძე[2], ანზორ სოლომონიძე[3]

[1]ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[2]ბათუმის N 6 ფიზიკა მათემატიკის სკოლა

[3]ევროპული საგანმანათლებლო ცენტრი

mdidmanidze92@mail.ru, kancelaria6@gmail.com, anzorsolomonidze@gmail.com

რეზიუმე

უმუშევრობა კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების რაოდენობის კლებაა.

უმუშევრობა დიდ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ყველა ნაწილისთვის, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ მის ბუნებრივ დონემდე შემცირებისთვის გაატაროს რიგი ღონისძიებები. უმუშევრობასთან ბრძოლას ართულებს ისიც, რომ ხშირად მისი გამომწვევი არის არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, მასობრივი უმუშევრობა, უმუშევრობის დონე, შრომის ბაზარი.

1. შესავალი.

უმუშევრობა - ეს არის სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამსახურს ვერ პოულობს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) განმარტებით, უმუშევარი არის ადამიანი, რომელსაც სურს მუშაობა, შეუძლია მუშაობა, მაგრამ არ აქვს სამუშაო.

უმუშევრობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმუშევრობის ეკონომიკური შედეგების ანალიზს. უმუშევრობა აფერხებს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. უმუშევრობის ნეგატიურ შედეგებს შორის აღსანიშნავია - შემოსავლების დანაკარგები, სიღარიბე, მატერიალური დოვლათის დანაკარგები, გარე მიგრაცია, დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება, მუშაკთა დეკვალიფიკაცია, ინფლაციის ზრდა.

უმუშევრობა შემოსავალს აკარგვინებს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე სახელმ-წიფოს ბიუჯეტსაც, რადგან შემოსავლის გარკვეული ნაწილი იბეგრება, უმუშევრობის დონის ზრდამ სახელმწიფოს შეიძლება დიდი თანხები დააკარგვინოს.

ხანგრძლივმა მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება მიგვიყვანოს ზოგადად ქვეყნის გაღარიბებამდე. რადგან უმუშევრობის მაღალი დონე ეხება არა მარტო ცალკეულ ინდივიდებს, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რადგან იგი იწვევს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მაჩვენებ-ლების გაუარესებას.

უმუშევრობა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას. რაც უფრო დიდია უმუშევრობის დონე, მით მეტია მატერიალური დოვლათის დანაკარგები და მით უფრო მეტად მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტი.

მასობრივი მიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამომწვევი მიზეზია უმუშევრობა.

უმუშევრობასა და ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებას შორის არსებობს მკაფიო დამოკიდებულება. უმუშევრობა იწვევს სიღარიბეს, ხოლო იგი თავის მხრივ, იწვევს დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას. მაგალითად, სიღარიბე ობიექტური მიზეზების გამო აფერხებს ახალგაზრდების დაქორწინებას, იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, რაც ამცირებს ქორწინებათა რიცხვს.

უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური შედეგია ის, რომ იგი იწვევს მუშაკთა დეკვალიფიკაციას. უმუშევრობის პერიოდში ადამიანს არა მარტო არ ემატება ახალი ცოდნა, არამედ ისიც ავიწყდება რაც იცოდა, ამიტომ თუ სახელმწიფომ არ იზრუნა მის გადამზადებაზე, იგი ვეღარ შეასრულებს თავის საქმეს.

ასევე, ხანგრძლივი უმუშევრობა ხშირად იწვევს საზოგადოებაში კრიმინოგენული ვითარების გამწვავებას. როგორც კვლევებით დასტურდება, დამნაშავეთა დიდი ნაწილი, სწორედ უმუშევრებია.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობას ბევრი უარყოფითი სოციალურ- ეკონომიკური შედეგები აქვს, მას ასევე გააჩნია გარკვეული დადებითი მხარეებიც - უმუშევრობა ხელს უწყობს სამუშაო ძალის ე.წ. „რეზერვის“ შექმნას, რაც გარკვეული მანევრირების შესაძლებ-ლობას იძლევა ახალი ტიპის სამუშაო ადგილების გაჩენის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ „უმუშევრობას დადებითი ფუნქციების შესრულება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ფაქტიური დონე საზოგადოებრივად დასაშვებ „ბუნებრივ დონეს“ უახლოვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი უმუშევრობა, განსაკუთრებით თუ იგი დიდი ხნის მანძილზე გრძელდება, დამანგრევლად მოქმედებს ეკონომიკის ფუნქციო-ნირებაზე“ [1].

განათლება საუკეთესო ინვესტიციად მოიაზრება კვალიფიციური და კარგად ანაზღაუ-რებადი შრომის ბაზრის ფორმირებისათვის. გზა, რომლითაც ადამიანების ეკონომიკურ განათლებას უზრუნველყოფს არის მათი ცოდნის გაფართოება და უნარების განვითარება, ეკონომიკაში პროდუქტიული მონაწილეობისათვის. მჭიდრო და პოზიტიური კავშირი არსებობს განათლებასა და ეკონომიკას შორის. არა ერთი კვლევა ადასტურებს განათლებასა ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის არსებობას, როგორც მაკრო, ასევე მიკროეკონომიკურ დონეზე.

განათლებულ სამუშაო ძალას აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, აწარმოოს უკეთესი პროდუქცია მრავალი განსხვავებული მიმართულებით. განათლების საფუძველზე უმჯო-ბესდება დასაქმებულთა შრომის ხარისხი და, შესაბამისად, იზრდება წარმოების ეფექტიანობა, ხდება ტექნოლოგიური განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისე-ბურებები: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები; მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი; მოქმედების შეზღუდული არეალი; სამუშაო ძალის დაბალი მობი-ლურობა; ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი; უმუშევრებში ახალგაზრდების მაღალი წილი.

დასაქმება სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის სოციალური თანასწორობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რამაც დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნის მიღწევაში.

სამუშაო ადგილის დაკარგვა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო მოვლენაა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრების დონის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ იმედებს საკუთარ შრომით შემოსავლებზე ამყარებს. ადამიანები შრომისგან

არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ პიროვნული სრულყოფილების გრძნობასაც იღებენ. სამუშაოს დაკარგვა ნიშნავს, საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას და ცხოვრების დონის შემცირებას.

რეალურ ეკონომიკაში უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია. უმუშევრობის ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წონა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ არა მხოლოდ უმუშევართა რაოდენობა, არამედ მათი უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაკარგვის მიზეზი, სად ეძებენ სამუშაოს, ვის მიმართავენ დახმარებისთვის, რა სირთულეებს აწყდებიან სამუშაოს ძიებისას და სხვა.

ფრიქციულ უმუშევრობას იწვევს შრომის ბაზარზე ინფორმაციის გავრცელების ხარვეზებიც. ამიტომ, ამგვარ უმუშევრობას სახელმწიფომ უნდა ებრძოლოს, სწორედ ეფექ-ტიანი საინფორმაციო სისტემების შექმნით. სრულყოფილი საინფორმაციო სისტემა უზრუნ-ველყოფს იმას, რომ უმუშევარი რაც შეიძლება მალე მონახავს მისთვის სასურველ ვაკანსიას და დაიწყებს მუშაობას.

უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტიანი გზაა სახელმწიფოს მხრიდან ტრენინგების კურსის მომზადება და განხორციელება. აღნიშნული ხელს შეუწყობს უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებას და მაღალ კონკურენტუნარიანობას. ამ გზით მიიღწევა სამუშაო ძალის პროფესიული მომზადების დონის შესაბამისობა სამუშაო ადგილის მოთხოვნებთან.

ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდისა და, შესაბამისად, ციკლური უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კარგი გზა არის მცირე ბიზნესის განვითარება. მცირე ბიზნესის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი დაფუძნება შეიძლება უმოკლეს დროში, ძალიან მცირე დანახარჯებით, გამოირჩევა მეტი თავისუფლებით, დამოუკიდებლობითა და მოქმედების ოპერატიულობით. იგი პირად კონტაქტებს ამყარებს მომხმარებლებთან და ცდილობს, უკეთ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნილებები.

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს იწვევს, მათ შორის ყველაზე მწვავედ დგას: მატერიალური დოვლათის დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, გარე შრომითი მიგრაცია, დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დეკვალიფიკაცია და ა.შ.

უმუშევრობასთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლით. აქვე აღსანიშნავია, რომ უმუშევრობას უნდა ვებრძოლოთ არა ერთი რომელიმე მეთოდით, არამედ კომპლექსურად. ყველა მიმართულებამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი უმუშევრობის დონის შემცირებაში, სიღარიბის დაძლევასა და საბოლოოდ, ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლებაში.

სოციალურად დაუცველი პირებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ დასაქმება, არამედ შრომის ბაზარზე მათი შენარჩუნების ხელშეწყობის სერვისებიც. ამდენად, გასატარებელია ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც სამუშაოს მოძიებას, ასევე ხანგრძლივი ვადით დასაქმებას [2].

უმუშევრობის მთავარი მაჩვენებელი უმუშევრობის დონეა. უმუშევრობის მაჩვენებელი (u) არის უმუშევართა რაოდენობის თანაფარდობა მთლიან სამუშაო ძალასთან (დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის ჯამი), გამოხატული პროცენტულად: $u = U / L * 100\%$ ან $u = U / (E +$

U) * 100%. სტრუქტურული უმუშევრობის დონე გამოითვლება როგორც სტრუქტურული უმუშევრობის რაოდენობის თანაფარდობა მთლიან სამუშაო ძალასთან, გამოხატული პროცენტულად: u struct = U struct /L*100%.

უმუშევრობის არაეკონომიკური შედეგები არის სამსახურის დაკარგვის ფსიქოლოგიური და სოციალური და პოლიტიკური შედეგები. ინდივიდუალურ დონეზე, უმუშევრობის არაეკონომიკური შედეგებია ის, რომ თუ ადამიანი დიდხანს ვერ პოულობს სამსახურს, ეს ხშირად იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, სასოწარკვეთას, ნერვულ (თვითმკვლელობამდე) და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ოჯახის დანგრევას. სტაბილური შემოსავლის წყაროს დაკარგვამ შეიძლება უბიძგოს ადამიანს დანაშაულისკენ (ქურდობა და თუნდაც მკვლელობა), ანტისოციალური ქცევისკენ.

2. დასკვნა.

შრომის ბაზრის მოთხოვნასა და სამუშაო ძალის მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირება არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. ამ კუთხით სახელმწიფომ უნდა გაზარდოს განათლების ხარისხის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმებისთვის.

სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლების კონტექსტში, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პროფესიული განათლების რეფორმას, რომლის ამოცანაა შრომის ბაზრის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თორია მ. შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006.
2. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.

Economic Consequences of Unemployment

Manana Didmanidze[1], Zurab Zakaradze[2], Anzor Solomonidze[3]

[1]Batumi Shota Rustaveli State University

[2]Batumi School of Physics and Mathematics N 6

[3]European Educational Center

mdidmanidze92@mail.ru, kancelaria6@gmail.com, anzorsolomonidze@gmail.com

Abstract

Unemployment remains one of the country's main challenges. High unemployment levels sharply reduce both the population's and the state budget's revenues. The biggest negative consequence of unemployment is a decrease in the number of products produced and services provided.

Unemployment is a major problem for all segments of society, so it is necessary for the state to implement a number of measures to reduce it to its natural level. The fight against unemployment is also complicated by the fact that it is often caused by not one, but several factors.

Keywords: unemployment, mass unemployment, unemployment rate, labor market.